საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მ. მ. ადვოკატ ბ. გ. წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

დათუნა მოდებაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.10.10

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: N 075/11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ბ. გ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ბ. გ. ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2010 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქე მ.მ. მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ბ. გ. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. განმცხადებელი საჩივარში აღნიშნავს, რომ ადვოკატი ბ. გ. იცავდა მისი მოწინააღმდეგე მხარის, განსასჯელ თ. ბ. ინტერესებს, ხოლო თავად წარმოადგენდა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს.

1.3. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2010 წლის 17 სექტემბერს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით თელავის რაიონულ სასამართლოში ჩატარდა სისხლის სამართლის პროცესი.

1.4. საჩივრის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდგომ, სასამართლოს ეზოში გამოსვლისას, განმცხადებელმა უკმაყოფილება გამოთქვა სასამართლო პროცესის

განხილვის შედეგის გამო, რადგან სამართლიანად არ ჩათვალა სასამართლოს განაჩენი. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მისი უკმაყოფილება კონკრეტულად არავის მიმართ არ იყო მიმართული.

1.5. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის საპროტესტო ნათქვამს, მისთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ადვოკატმა ბ. გ. სტვენით უპასუხა. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ როდესაც დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა ადვოკატის ასეთი შეურაცმყოფელი მოქმედება და მისმა თანმხლებმა პირებმა, თ. გ. და ნ. ჭ. ადვოკატს შენიშვნა მისცეს, ადვოკატმა ბ. გ. პირადად მას შეაგინა და გინება სრულად დააბოლოვა.

1.6. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ფაქტს მისი თანმხლები პირების გარდა ესწრებოდნენ თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ლ. ღ., გამომძიებელი ლ. ბ., პოლიციის თანამშრომელი, სოფელ ვარდისუბნის უბნის რწმუნებული ს. გ., თელავის რაიონული სასამართლოს რამდენიმე მანდატური და სასამართლოს ეზოში მყოფი სხვა პირები.

1.7. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ჩაიდინა ადვოკატისათვის შეუფერებელი ქმედება და ითხოვს ადვოკატის მიმართ შესაბამისი ღონისძიების გატარებას. 1.8. მ. მ. მხარი დაუჭირა მის საჩივარში წარმოდგენილ გარემოებებს და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადვოკატმა ბ. გ. სასამართლო ეზოში დაუსტვინა მას და მოგვიანებით შეაგინა.

2. ადვოკატ ბ. გ. განმარტების მიხედვით:

2.1. ადვოკატ ბ. გ. განმარტების მიხედვით, იგი იცავდა განსასჯელი თ. ბ. ინტერესებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე. საჩივრის ავტორი, მ. მ. აღნიშნულ საქმეში წარმოადგენდა დაზარალებულის უფლებამონაცვლეს.

2.2. ადვოკატი აღნიშნავს, რომ უშუალოდ იმ შემთხვევას, რომელსაც განმცხადებელი საჩივარში აღწერს, წინ უსწრებდა სასამართლო გამოძიების დროს სასამართლო სხდომაზე მ. მ. მიერ მის მიმართ გამოთქმული მთელი რიგი შეურაცყოფები და მუქარები. ადვოკატი უთითებს, რომ საჩივრის ავტორი მას ახასიათებდა როგორც უცოდინარს, ფულის მოყვარულს, ადამიანს, რომელიც ფულის გამო იცავდა დაცვის ქვეშ მყოფს, ასევე ემუქრებოდა პირადი ანგარიშსწორებითა და შვილის მკვლელობით. ადვოკატი აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ხორციელდებოდა სასამართლო სხდომებზე, რომელსაც ესწრებოდა არაერთი პირი და მათ შეუძლიათ ამის დადასტურება.

2.3. ადვოკატი აღნიშნავს, რომ სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ, საჩივრის ავტორის მუქარებმა მიიღო კონფლიქტის ხასიათი და დაზარალებული მხარის აგრესია გადმოტანილი იქნა მის მიმართ. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მას არანაირი რეაქცია არ ჰქონია ამ აგრესიის მიმართ, რაც უფრო გამაღიზიანებელი აღმოჩნდა დაზარალებული მხარისათვის. ადვოკატი უთითებს, რომ იძულებული გახდა სასამართლო დარბაზის სათადარიგო გასასვლელიდან გასულიყო.

2.4. ადვოკატის განმარტების მიხედვით, მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ საჩივრის ავტორი და მისი თანმხლები პირები აღარ იმყოფებოდნენ სასამართლოში, ჩავიდა სასამართლოს პირველ სართულზე, სადაც შემთხვევით შეხვდა დაზარალებულ მხარეს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორმა გასვლისას მის ზურგს უკან ჩაილაპარაკა: ,,ამის შვილის სისხლი უნდა დავლიოო". ადვოკატი აღნიშნავს, რომ არ აჰყვა ამ გამოწვევას და განაგრძო სხვა პირთან საუბარი.

2.5. ადვოკატი განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორი და მისი თანმხლები პირები 5-8 მეტრით დაშორდნენ, ერთ-ერთი ქალბატონი მობრუნდა მათკენ და დაადანაშაულა შვილმკვდარი დედისათვის შეურაცყოფის მიყენებაში, კერძოდ, თითქოს მათ დაუსტვინეს დაზარალებულ ქალბატონს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან უარყო ეს ფაქტი და დაზარალებული მხარის წარმომადგენლებს სთხოვა არ შეექმნათ კონფლიქტური ვითარება. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ სიტყვების შემდეგ, ქალბატონებმა მისი მიმართულებით კვლავ გამოთქვეს მთლი რიგი შეურაცყოფები.

2.6. ადვოკატის განმარტების მიხედვით, საჩივრის ავტორმა პირადად მას მიმართა და უთხრა: ,,შენი შვილი უნდა მოვკლა და მისი თავი სახლში შემოგიგოროო", რასაც ადვოკატმა უპასუხა შემდეგი სიტყვებით: ,,წადი შენიც". ადვოკატი განმარტავს, რომ ამის შემდეგ სასამართლო შენობაში დაბრუნდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ალბათ ეს სიტყვები გახდა საჩივრის ავტორისათვის იმის საბაბი, რომ ადვოკატის სიტყვები დაესრულებინა მისი მისამართით დედისა და ოჯახის გინებით.

2.7. ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასამართლოს ეზოში შექმნილი კონფლიქტური ვითარება არის ქალბატონი მ. მ. და მისი თანმხლები ქალბატონების მიერ დადგმული პროვოკაცია, რათა ადვოკატი რაიმე საშუალებით ჩამოაშორონ სისხლის სამართლის საქმის განხილვას და ამ გზით მიაღწიონ სასურველ შედეგს.

2.8. 2010 წლის 16 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ბ. გ. დაეთანხმა საპროცესო კოლეგიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და კიდევ ერთხელ ახსნა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ადვოკატმა მიუთითა მის მიერ წარმოგენილ მტკიცებულებებზე, მოწმეთა ჩვენებებზე და აღნიშნა, რომ არ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2010 წლის 1 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ბ. გ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ბ. გ. მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი.

სამოტივაციო ნაწილი

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. 2010 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონულ სასამართლოში გაიმართა სისხლის სამართლის პროცესი მ. მ. საქმეზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მ. მ. 2010 წლის 1-ლი ოქტომბრის საჩივარი (1-ლი გვ, 1-ლი აბზაცი);
2. ადვოკატ ბ. გ. 2010 წლის 12 ოქტომბრის ახსნა-განმარტება (1-ლი გვერდი, მე-2 აბზაცი)

1.1.2. 2010 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონული სასამართლოს ეზოში მ. მ. და ადვოკატ ბ. გ. შორის წარმოიშვა კომფლიქტური სიტუაცია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მ. მ. 2010 წლის 1-ლი ოქტომბრის საჩივარი (1-ლი გვერდი; 1-ლი აბზაცი)
2. ადვოკატ ბ. გ. 2010 წლის 12 ოქტომბრის ახსნა-განმარტება (1-ლი გვერდი; მე5 აბზაცი)

2. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა და საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ ადვოკატ ბ. გ. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

3. სამართლებრივი შეფასება

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. გ. მიერ დაირღვა შემდეგი მუხლები:

ა) ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი: ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებები".

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი: ,,ურთიერთობები, რომელიც არ რეგულირდება ამ კოდექსით უნდა გადაწყდეს შინაგანი რწმენით ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით."

3.1. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.

3.2. განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს. მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების უფლებებსაც.

3.3. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლისათვის შეურაცყოფის მიყენება გინების ფორმით, ასეთის შემდგომ ეტაპზე

დადასტურების შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვის ფორმად და ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვად.

3.4. განხილვის კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი.

3.5. განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილისათვის საჯაროდ შეურაცყოფის მიყენება გინების ფორმით არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

3.6. განხილვის კოლეგიას თვლის, რომ ადვოკატის ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება ადვოკატის ვალდებულებას ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება გამოიჩინოს და არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

3.7. განხილვის კოლეგიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ადვოკატს მოეთხოვოს პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც პროცესის მონაწილეს დაზარალებული მხარე – მსხვერპლის დედა წარმოადგენს და მისი მხრიდან გამოხატული პროტესტი შეიძლება იყოს სუბიექტური და ჰქონდეს ემოციური ხასიათი.

3.8. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 სექტემბრისა და 3 ნოემბრის გადაწყვეტილებებში /დისციპლინური საქმე 043/10/ დაადგინა: ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კოლეგია ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით და საკმარისად მიიჩნევს, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რათა შესაძლებლად ჩათვალოს ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.”

3.9. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ღ.შ. ანდ ძ ვ შწიტზერლანდ (განაცხადი #10414/83, 1984 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: ,,პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა”. შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ბ. გ. მიერ განხორციელებულმა ქმედებამ შესაძლოა დაუკარგოს საზოგადოებას ნდობა ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლების ეთიკურობის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ” ქვეპუნქტით და 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-5, მე-7, 33-ე, 36-ე და 38-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ბ. გ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.

2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილ კონვერტში. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ ბ. გ. წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

4. ადვოკატ ბ. გ. უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაეწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე – დათუნა მოდებაძე

კოლეგიის წევრი – დავით კაკაბაძე

კოლეგიის წევრი – გიორგი ბეგიაშვილი